№ 253

კვირა, 19 ნოემბერი, 1900 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 253

კვირა, 19 ნოემბერი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## ქართული თეატრი

კვირას, 19 ნოემბერს,

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან, ქ. ეფემია მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

### კონსტანტინე ბაცონიშვილი

დრამა 5 მოქ. ალ. ყაზბეგისა

II

### ქალად აპაზაკნი

კომ. 1 მოქ. გად. მართა ულენტის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ეფემია მესხი, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძე, მდივანი, გარელი და სხ.; ბ-ნნი სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია — დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. გუნია

მზადდება ელ. ჩერქეზიშვილის ბენეფისოდ ვლ. ალექ ი-მესხიშვილის მონაწილეობით „კაეშანი“. —„დენიზა“. „მადამ სანჟენი“.

## ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

მოწვეულია ახალი მკერვალი ქალი, ვენის სამკერვალო აკადემიის დიპლომით.

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ.

ქართული კაბებისათვის ცალკე მოწვეული მცოდნე მკერვალი ქალი.

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ცხვირსახოცები, შარფები, თეთრი და ფერადი ქსოვილები ქალისა და კაცის ტანისამოსისათვის როგორც საპირე, ისე სარჩულები. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფურიძა და ნაჭრობით.

(50—ნ.—50) — მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

21 ნოემბერს, დილის 9 საათზედ, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დაიწყება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

## საგანგებო კრება.

კრებამ უნდა დაამტკიცოს საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების სახსოვრად გასამართ დღესასწაულის წეს-რიგის პროექტი.

ვიწვევ-რა თავად-აზნაურთ კრებაზედ, ვთხოვ იმათ, ვისაც წელს თავად-აზნაურთა კრებებზედ მონაწილეობა არ მიუღიათ, საბუთის ქაღალდები ცენზის შესახებ წარადგინონ თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში საგანგებო კრების დაწყობამდე.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი, გენერალ-მაიორი საგინაშვილი

(3—ნ.—3)

16 ნოემბერს ქართულ სათავად-აზნაურო თეატრში წარმოდგენის დროს

## დაიკარგა

### ოქროს ჯვარი

გულისა თერთმეტის ალმასით მოჭედილი. მპოვნელს სთხოვენ შეატყობინონ ბებუთოვის ქუჩაზედ (ძველი ბაღების ქუჩა), სახლი № 40, რისთვისაც ღირსეულს სასყიდელს მიიღებენ. (2—236—1)

## კირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. თ. პროტასევიჩი—5—6 საათ.

ა. ნ. ზუბკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ბ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არშანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Ворощову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, სადოსტაქრო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## ახალი ამბავი

*** დღეს, 19 ნოემბერს, ქართულ თეატრში, ქართულის დრამატიუ-

## ფელეტონი

### პროვინციის ავ-კარგი

(წერილი დუშეთის მაზრიდგან)

დიდი ხანია ჩვენის მაზრის საჭირბოროტო საგანს საქონლის პარვა და საზოგადოდ წვრილმანი ქურდობა შეადგენდა, რაიცა მეტად დიდს ზარალს აძლევდა მკვიდრთ და მათს კეთილდღეობას ძირს უთხრიდა. ამ წვრილმან ქურდ-ბაცაცების ოდენა ვნების მოტანა არა მგონია შეეძლოს ყველა იმ ცნობილ ავაზაკებს, რომელნიც დრო-გამოშვებით გაითარეშებენ ხოლმე განჯისა და თათრებით დასახლებულ სხვა გუბერნიებში; ამ გუბერნიებში მომხდარი ქურდობა-ავაზაკობა თითქმის მუდამ გამოიწვევს ხოლმე მდევარსა და საზოგადოდ ავაზაკთა ასალაგმავად ფიცხელ ღონისძიებათ, მაშინ, როდესაც ჩვენებური ქურდობა უფრო კატისებურია და ხდება მუდამ მაშინ, როცა ქურდი საქონლის პატრონის თვალს აიცდენს; ამ გვარ ქურდობის შესახებ არამც თუ სამაზრო პოლიციამ, ხშირად ადგილობრივმა ბოქაულმაც-კი არაფერი უწყის; თითონ დაკარგულის პატრონმა უნდა „იცეს თავში ქვა“, ან დაკარგული საქონელი იპოვნოს და დაიბრუნოს და ან სამუდამოდ გამოეთხოვოს. ასე იყო ამ ერთის წლის წინად. ისე დღე არ გაივლიდა, რომ თითოეულ სამამასახლისოში სულ ცოტა დღე ღამეში ერთი ქურდობა მაინც არ მომხდარიყო. მეტადრე შინაურ საქონლის ქურდობა თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული. სასოწარკვეთილებაში ჩაცვივნულმა ხალხმა არ იცოდა რით და როგორ მოევლო თავის თავისათვის. ასე იყო, როგორც ვთქვით, ამ ერთის წლის წინად, ხოლო ეხლა-კი, ჩვენდა სანუგეშოდ, ქურდობა ძალიან შემცირდა, იმდენად, რომ ამ სენის სრულიად მოსპობის იმედიც-კი დაგვებადა. თუ წინად დღეც-კი იშვიათი იყო ისეთი, რომ ქურდობა სადმე არ მომხდარიყო, ეხლა ბევრი თვეც ჩაივლის ისე, რომ ქურდობისა არაფერი გაიგონოთ.

ამ გვარი მყუდროება და მშვიდობიანობა მიანიჭა ჩვენს მაზრას ახალმა მაზრის უფროსმა ბ-ნმა ნ. ი. ალექსი-მესხიშვილმა, რომლის აქ მაზრის უფროსად დანიშვნა სწორედ რომ დიდ წყალობად უნდა ჩაითვალოს აქაურებისთვის. ბ-ნმა ახალმა მაზრის უფროსმა უმთავრესი ყურადღება საეჭვო კაცებსა და ცნობილ ქურდ-ბაცაცებს მიაქცია და მათს ალაგმვას მიჰყო ხელი მოსვლისათანავე. ხოლო მის მოსვლამდე ამ გვარი კაცები ზოგიერთ სოფლის საზოგადოებასაც-კი ედგნენ სათავეში.

ერთი უმთავრესი მიზეზი ჩვენში ქურდობის თავ-გასულობისა ის იყო, რომ ქურდების დევნისა და დამნაშავეთა აღმოჩენის საქმე ერთობ კოჭლობდა ბ-ნის ალექსი-მესხიშვილის აქ მაზრის უფროსად გამწესებამდე.

ქურდობისათვის პასუხის გებაში მიცემულთა და დასჯილთა შორის უმრავლესობას ოსები შეადგენენ. ოსს ამგვარ კაცში სხვა ეროვნებისა შვიდი-რვა ძლივს გამოერევა. ამის შესახებ თვით ოსებთანაც ხშირადა მქონია ლაპარაკი. ეს მოვლენა, თვით ოსებისავე აზრით, აიხსნება იმით, რომ სხვაგან, მაგალ., ქართველებით დასახლებულ სოფლებში, ქურდსა და ავ კაცს სდევნიან. ვისაც სოფელში ქურდობის ხმა დაუვარდება, ის მეზობლების თვალში პატივსა ჰკარგავს და ბილწ კაცად ითვლება, იმას ყველა ერიდება და ალმაცერად უყურებს. ამის გამო ქართველი კაცი იშვიათად ჰბედავს ქურდობასა, მაგრამ თუ შუბლის ჯვარი გაიტეხა და ქურდობას ხელი მიჰყო, ქართველი ძალიან მაგარი ქურდი დგება და ერთი ქართველი ქურდი ხუთს ოსს გადააჭარბებსო. ოსებში-კი სულ სხვაა; იქ უმრავლესობას ქურდები შეადგენენ. ამიტომ ოსებს შორის ქურდს პატივი აქვს; იმას არამც თუ არავინა სდევნის, პირ-იქით ყველანი ესარჩლებიან და იფარავენ. ოსების ჩვეულებით ნაქურდალის გაზიარება ერთგვარი სესხი და ვალია მეზობლობაში, რომლის გარდახდაც ოსს თავისს მოვალეობად მიაჩნია. დღეს, ვსთქვათ, ერთმა მოიპარა და დაჰკლა ძროხა. იგი მოვალეა სთვლის თავს მოპარულ ძროხის ხორცის ნაწილი ყველა მეზობლებს კომლეურად დაურიგოს, რადგან სამაგიეროდ ისიც ამგვარსავე „პატივის ცემას“ მოელის.

თუ მხედველობაში იმასაც მივიღებთ, რომ ოსთა სოფელი დუშეთის მაზრაში 10—12 კომლს იშვიათად აღემატება, აშკარად დავინახავთ ქურდობაში ამგვარად გაამხანაგების სიადვილეს. ამის გამო არა იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ დაკარგულ საქონლის პატრონი, ან მოხელენი ოსთა რომელსამე სოფლამდე ქურდებს კვალ-და-კვალ მიჰყოლიან, მაგრამ შიგ კი ვერ შესულან, რადგანაც მთელ სოფელს ჯოხებითა და ქვებით მდევრებისთვის წინააღმდეგობა გაუწევიათ და უკანვე გაურეკიათ.

ხშირად მეზობელს ქურდი მხოლოდ იმისთვის გაუცია და დაუბეზღებია, რომ ქურდს ნაპარევ საქონლის ხორცი არ მიუწოდებია. ნაპარევ საქონლის ხორცის ურთიერთშორის განაწილების საქმეში ოსებს თითქმის ისეთივე იურიდიული ჩვეულებები აქვთ შემუშავებული, როგორიც, მაგ., ფშაველებს ნადირის ხორცის განაწილებაში. თუ რამდენიმე კაცი საქურდლად ერთად წავიდა, მოპარულ საქონლის ხორცს ან იმისს ფასს (თუ არ დაჰკლეს და გაჰყიდეს) თანასწორად გაიყოფენ; თუ შემთხვევით შეესწრო სხვა კაცი, ქურდების ხელში მოპარული საქონელი ჰნახა ამ კაცს ჩვეულებით ნახევარზედ ცოტა ნაკლები ერგება, თუ მოპარული ძროხა გატყავებულია, მაშინ ორი რომელიმე ასო, ხოლო თუ აკუწულიცაა, მაშინ ერთი ასო, ტყავი-კი შუაზედ იყოფება.

ლის დასის მიერ, ეფემია მესხის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქმნება „კონსტანტინე ბატონიშვილი“, ალ. ყაზბეგის 5 მოქ. დრამა, და ვოდევილი „ძალიან ავაზაკნი“.

*** დღეს, 19 ნოემბერს, წმ. სამების ეკკლესიაში მწირველი ბრძანდება გორის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო კირიონი.

*** ამა მიმდინარე თვის ბოლო რიცხვებში ქალაქ ოდესსაში მოხდება მევენახეთა და მეღვინეთა კრება. როგორც შევიტყეთ, კრების თავმჯდომარედ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დაუნიშნავს აგრონომი ბ ნი სტაროსელსკი.

*** ამ ახლო მომავალში, როგორც შევიტყეთ, ტფილისში მოხდება კავკასიის მეღვინეთა და მევენახეთა კრება.

*** სამშაბათს, 28 ნოემბერს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა ექმნება მომავალ სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის შესახებ ზოგიერთ საგნების განსახილველად. ამ სხდომაზედ საბჭო, საბოლოოდ გადასწყვეტავს გამოფენისათვის რომელი ადგილი აარჩიოს.

*** სამშაბათს, 21 ნოემბერს ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებული კრება ქალაქის 1901 წლის ხარჯთ აღრიცხვის განსახილველად.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი აგრონომი ლებედევი უკვე შესდგომია კახეთისა, განჯისა, იმერეთისა და შავის ზღვის პირის იმ ადგილების შესწავლასა და გაცნობას, სადაც მეღვინეობას მისდევენ. ბ-მა ლებედევმა კახეთი უკვე დაათვალიერა.

*** მიწად-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის ბ-ნ მედვედევის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიას, რომელსაც ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხთა დასახლება-მოწყობის საქმე აქვს მინდობილი, უკვე დაუმთავრებია მუშაობა. ამ კომისიაში მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო ქონებათა გამგენი.

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის საჯარო წიგნთ-საცავის გაფართოვების შესახებ. 17 ნოემბერს გამგეობას ამ საქმის გამო მიწერილობა მოსვლია საერო განათლების სამინისტროსაგან. როგორც მიწერილობიდგან სჩანს, მინისტრის ბრძანებით შემდგარა, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კ. პ. იანოვსკის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებული კომისია, რომელსაც საჭიროდ უცვნია წიგნთ საცავის გაფართოვება ორ ნაირად: ან წიგნთ-საცავს მეორე სართული დაედგას, ან ეხლანდელ შენობის გარშემო აგებულ იქმნას გალლერეია. მეორე სართულის აგება დაჯდება 19,000 მანეთად, ხოლო გალლერეის აგება—5000 მან. რადგანაც გამგეობამ ითხოვა, წიგნთ-საცავში შესვლა და წიგნებით სარგებლობა გაადვილებულ იქმნას, რისთვისაც წიგნთ-საცავი საღამოობითაც ღია უნდა იყოს, კომისიამ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა მხოლოდ იმ პირობით, რომ წიგნთ-საცავი გააფართოვონ და საჭირო ფული (600 მან.) გამოსძებნონ გამგის დასაქერად.

*** დღეს, 19 ნოემბერს, ქალაქ სიღნაღს მიდის ტფილისის ოლქის სასამართლოს დროებითი სისხლის სამართლის განყოფილების სესსია. სიღნაღიდგან სესსია ზაქათალას გადავა და პირველ დეკემბრამდე ყველა საქმეს განიხილავს.

*** ხუთშაბათს, 23 ნოემბერს, ტფილისის სახაზინო თეატრში წარმოდგენა იქმნება გამართული ტფილისის რეალურ სასწავლებლის შეუძლებელ-მოსწავლეთა სასარგებლოდ.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუდვია დამატებითი თანხა 2200 მანეთი ოზურგეთის თამბაქოს პლანტაციების მოსაწყობად.

*** საერო განათლების სამინისტროსთან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კ. პ. იანოვსკის თავმჯდომარეობით შემდგარი კომისია, რომელსაც საშუალო სასწავლებელთა პროგრამის შემუშავება აქვს მინდობილი, მომავალის წლის თებერვალში დაამთავრებს მუშაობას. კ. პ. იანოვსკი ამავე თვეში დაბრუნდება ტფილისს.

*** ფილოქსერასა და ვაზის სხვა მავნე სენთან საბრძოლველად 1901 წლისათვის მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ხაზინისაგან 150 ათასს მანეთსა თხოულობს.

*** როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, ქუთაისის ქალაქის საბჭოს უკვე განუხილავს და დაუმტკიცებია გამგეობის მიერ შედგენილი ქალაქის 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. სხვათა შორის ამ ხარჯთ-აღრიცხვით ქალაქს შემოსავალი ექმნება: დაფასების გარდასახადისა—41,657 მან. 80 კაპ., ქალაქის ხიდების შემოსავალი - 16,200 მან., ქალაქის თეატრისა—5,070 მან., რესტორანებისა და ტრაქტირებისა—4,825 მან., საყასბოსი—10,840 მან., ნავთის ვაჭრობისა—12,000 მან., სამრეწველო მოწმობებისა—3,560 მანეთი და სხვა.

*** პარასკევს, 17 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ სხდომაზედ განიხილა რამდენიმე საკითხი, რომელიც აღძრულ იქმნა გამგეობის უფროს ბუღალტერის მიერ და შეეხება ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამომრჩეველთა სიებს. როგორც მოხსენებიდგან სჩანს, განსამარტავად აღნიშნული საგნები შემდეგია: 1) როგორ მოიქცნენ იმ შემთხვევაში, თუ ორი მამული დაწერილია ერთსა და იმავე კაცზედ, რომლის გვარის ასოები ერთმანერთისაგან განსხვავდება, მაგალითად, კარიბოვი ანუ დარიბოვი; 2) შეტანილ იქმნენ თუ არა წიგნში ის მემამულენი, რომელნიც სულ ერთი წლიწადია, რაც ჰფლობენ მამულს; 3) შეტანილ იქმნენ თუ არა სიებში გარდაცვალებულნი მემამულენი და მათი მემკვიდრენი; 4) აგრეთვე როცა ერთი მემამულეთაგანი მიცვალებულია და მე 5) საჭიროა თუ არა გამოაქვეყნონ ამომრჩეველთა წიგნი ხმოსანთა ამომრჩევ მემამულეთა სიების შედგენის დროს. ქალაქის გამგეობამ, განიხილა-რა ეს საგნები, დაადგინა: 1) პირველი საგნის შესახებ დაევალოს ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო პოლიციის აგენტებს გამოძიება მოახდინონ მემამულეთა მესაკუთრეობის შესახებ და გამოარკვიონ ასეთის მემამულეების ნამდვილი გვარები; 2) შეტანილ იქმნენ ამომრჩევთა სიებში ყველა ის მემამულენი, რომელთა მამული დაფასებულია არა ნაკლებ 1500 მანეთისა; 3) გარდაცვალებულთა ნამდვილ ქონების გამო სიებში შეტანილ იქმნენ მემამულენი იმ შემთხვევაში, როდესაც გამგეობაში მემკვიდრეთა შესახებ არავითარი ცნობები არ ექმნებათ და 4) ამომრჩევთა წიგნის გამოქვეყნება საჭირო არაა, რადგანაც თავის დროზედ გამოქვეყნებულ იქმნება ხმოსანთა ამომრჩევ მემამულეთა დაბეჭდილი სიები. წიგნების შესწორება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამას თვით ამომრჩევნი მოისურვებენ.

*** გუშინ ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა ბორჩალოს მაზრის ბოქაულის თავ. წულუკიძის დაჭრის შესახებ. როგორც ეხლა შევიტყეთ, თავ. წულუკიძე მიხეილის სამკურნალოში უკვე გარდაიცვალა. განსვენებულს დარჩა 6 მცირე-წლოვანი ქალ-ვაჟი.

*** ხუთშაბათს, 16 ნოემბერს, ტფილისის სასამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა პალატის უფროსს თავმჯდომარის ბ-ნ ვრასკის თავმჯდომარეობით განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის სოფელ მახაშის მცხოვრების აზნაურ დათა ესარდუს ძის კუბეციასი, რომელსაც ბრალად ის დანაშაულობა ედებოდა, რომ მან 1896 წლის 4 ივლისს, როდესაც ზუგდიდის მაზრის სოფ. ოხხოურის მცხოვრებს რომანოზ დგებუაძეს მოჰპარეს 300 მან. ღირებული ცხენი, ქურდებს დახმარება გაუწია და მოპარული ცხენი თავის სახლში დამალა და ამაზედ მთავრობას არაფერი აცნობა. პირველად ეს საქმე განიხილა ქუთაისის ოლქის სასამართლომ 1899 წლის 16 თებერვალს, რომელმაც დამნაშავედ იცნო კუბეცია და გარდაუწყვიტა ყოველივე უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და 3 თვით საპყრობილეში დაპატიმრება. პალატამ დამნაშავედ იცნო დათა კუბეცია და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

*** განსაკუთრებულმა კომისსიამ ქალაქის ბითადთა თანადასწრებით განიხილა ქალაქის ბაკების ასაშენებელი გეგმა 500 სულ საქონლისათვის. ეს გეგმა კომისსიას მოეწონებია, ამასთანავე შესაძლებელად უცვნიათ, თუ ვინიცობაა ეს ბაკები არ ეყოთ, შენობები კიდევ მოუმატონ 100 სულ საქონლისათვის. მხოლოდ სანამ ამ ბაკებს ააშენებდნენ, საჭიროდ უცვნია, ქალაქის გამგეობამ ნება-რთვა ითხოვოს დროებითი ბაკის გამართვის შესახებ ავლაბარში.

*** 17 ნოემბერს საზღვარ გარეთიდგან ტფილისში დაბრუნდა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილე გამგეობის წევრი თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი.

*** ამ ჟამად ორი თავისუფალი ადგილია ტფილისის საბჭოს მკურნალოს. ამ ორ ადგილზედ ოც კაცზედ მეტმა შეიტანა თხოვნა.

*** როგორც კავკავიდგან გვატყობინებენ, იქ წითელა და ქუნთრუშა თურმე მძვინვარებს.

*** ცხინვალი, (გორის მაზრა). ჩვენი დიდ-ლიახვის ხიდი ძალიან დაზიანდა. რაც დღე გადის, იმისი სიმაგრე თანდა-თან უკან-უკან მიდის; ღამის არის წყალმა ძირი გამოაცალოს და დავრჩეთ უხიდოდ. მაგრამ ეტყობა ამ ამბავს მთავრობამდისაც მიუღწევია და ამ დღეებში გახლდათ აქ ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს ინჟინერი ბ. ანტონოვი, რომელმაც დაათვალიერა ხიდი და სთხოვა, რომ მარჯვენა მხარეს უნდა კედელი აუშენდეს ხიდს ბარე 15 საჟენის სიგრძეზედ და ორი საჟენის სიმაღლეზედ, ზედ მოაჯირიც უნდა გაკეთდეს, ხოლო დაზიანებული ადგი-

---

იმ შემთხვევისთვის, როდესაც შიშველა ცხენის მოპარვა უხდებათ, ოსებს გამოუგონიათ ერთგვარი უნაგირი, რომლის ტარებაც თურმე ჯიბით შეიძლება; მევრს ვეცადე მეშოვნა ასეთი უნაგირი, მაგრამ ვერაფერს გავხდი.

სასამართლოში ხშირად გამოაშკარავებულა, რომ საქურდლად ოსს 11—12 წლის შვილები ან ძმები თანა ჰყოლია და მათთან ერთად ჩაუდენია ქურდობა. უმრავლესობა ოსთა ბავშვებისა ასეთ გარემოებაში იზრდება და, რასაკვირველია, ქურდობას პატარაობიდგანვე ეჩვევა.

ოსებში ქურდობის გავრცელების უმთავრეს მიზეზად ბევრს სიღარიბე მიაჩნია. ამ მიზეზის უარ-ყოფა არც შეიძლება, მაგრამ ბევრი მაგალითი და აგრეთვე შედარება ქურდობით სახელ-გატეხილ სოფლების ქონებრივ მდგომარეობისა ისეთ სოფლებთან, სადაც ეს სენი გავრცელებული არ არის, გვიმტკიცებს, რომ სიღარიბე თუმცა ერთი თვალსაჩინო მიზეზია ქურდობის გავრცელებისა, მაგრამ უმთავრეს მიზეზად მაინც და მაინც არაა ჩასათვლელი

დუშეთის მაზრის ქსნისა, ბაზალეთისა და მცხეთის საბოქაულოებში მცხოვრები ოსები ეკონომიურად უფრო უკეთესს მდგომარეობაში არიან, ვიდრე ამავე მაზრის ქვეშეთის საბოქაულოს მცხოვრები მთიულ-გუდამაყრელნი, მოხევენი და ოსები, მაგრამ ქურდობა ამ უკანასკნელთა შორის ერთობ იშვიათია მაშინ, როდესაც პირველთა შორის ძალიან ხშირია.

მაგალითები ერთობ საგულისხმოა. თხილოვანელ დ. გოკიშვილის 600 დღიურ საკუთარ მამულს ბევრი აზნაურიც-კი შეჰნატრებს, მაგრამ ამოდენა მამულის პატრონს ქურდობა ხელობად გაუხდია და გოკიშვილი ქურდობისათვის დღესაც სამართალშია მიცემული და დაპატიმრებული. რასაკვირველია, ამ სოფლის მცხოვრები სხვაც ბევრი მისდევს ქურდობას, თუმცა სოფელ თხილოვანი ბარშია (ბაზალეთის საბოქაულოში) და არც სიღარიბითაა გაჭირვებული. სოფელი ბალისი (ამ სოფლის უმრავლესობას ოსები შეადგენენ) მევახშეების სოფელ ახალგორს შემდეგ მთელ მაზრაში ყველა სხვა სოფელზედ შეძლებულად ითვლება. ამ სოფელს სახნავი საკმაო და რიგიანი ნაყოფის მომცემი აქვს, ხოლო ვენახები საუკეთესო, მაგრამ ამისდა მიუხედავად პირველი ქურდები ამ სოფლიდგან გამოდიან. ამ ორის წლის წინათ პოლიციის მოხელემ ერთ ამ სოფლელ ოსზე, გვარად შავხალაშვილზე ეჭვი მიიტანა და სახლი გაუჩხრიკა; ნაქურდალს გარდა ამ სახლში გაჩხრეკის დროს ოთხმოცი თუმანი ვერცხლის ფული ჰნახეს. ამ გვარად, ღარიბებთან ერთად არც მდიდარი ოსები თაკილობენ ქურდობას.

მაშ რა არის ქურდობის მიზეზი?

ზევით მოვიხსენიე, რომ მთის ხალხში: მთიულ-გუდამაყრელებსა, მოხევეებსა და იქაურს ოსებს შორის ქურდობა ძალიან იშვიათი მოვლენაა-მეთქი. თუმცა ეს ასეა, მაგრამ მთიელები, რასაკვირველია, უფრო ოსები, აძლევენ ქურდებსა და საზოგადოდ საეჭვო კაცებს.

რაც მეტი ხანი გადის, მით მეტად საგრძნობელი ხდება ადგილის სიმცირე მთაში, რადგანაც ერთის მხრით ხალხის რიცხვი, მისი ხარჯი და საზოგადოდ მოთხოვნილება მატულობს, ხოლო მეორეს მხრით ისეც ნაკლები და მწირი მთის სახნავ-სათიბი ადგილები იღლება და თან და თან ნაყოფიერებასა ჰკარგავს. *) ამის გამო ხალხის რაოდენიმე ნაწილი იძულებულია რაკი იქ აღარ ეცხოვრება, მამა-პაპის ბინაზე ხელი აიღოს და ბედის საძებნელად ბარისკენ გაუდგეს გზას. იმის გარდა, რომ ამგვარი ბედის მძებნელი ინგლისელ ფერმერისა და გერმანელ ახალშენსავით სამეურნეო და ადგილობრივ ვითარების ცოდნით არ არის შეიარაღებული, მას, საუბედუროდ, არც თითონ ეს ახალი კუთხე უწევს დიდსა და გადაჭარბებულს სტუმართ მოყვარეობას. გარეშე შემწეობასა და დახმარებას ამ დიდსა და ძნელს საქმეში ის დაჩვეული არაა და არც მოელის ვისგანმე. მთიული ხშირად ახალ ადგილას უფრო მეტს გაჭირვებაში ვარდება, რადგანაც ბარში ვადასული, იგი ან ხიზნად სადმე სახლდება, ან მიწის მოიჯარადრეობას იწყებს. ასეთი გადმოსახლებული ნახევრად ბოგანო ხდება და ხშირად ბევრს სხვა გაჭირვებას სამკვიდრო ბინის უქონლობაც აუცილებლად ზედ ერთვის; მისი ყოფა ცხოვრება რაღაც გამოურკვეველი და ნიადაგ მოკლებული ხდება, და როგორც ჩიტი ნარზე, ისე ზის დღე-დღეულად რომელსამე საიჯარო ალაგში. ყველა ის ზნე-ჩვეულება და მამა-პაპური ტრადიცია, რაც ქურდობასა და საზოგადოდ ავი საქმის ჩადენას მთაში შეუძლებლადა ხდიდა, ან ავიწყდება, ან-და სხვა ახალ გარემოებაში ყოფნის დროს იმის თვალში უწინდელ მნიშვნელობასა ჰკარგავს, სამაგიეროდ მოთხოვნილება ცხოვრებაში არ უმცირდება, უფრო უძლიერდება კიდეც.**) ყველა ეს, რასაკვირველია, უადვილებს ის(?)თ გზაზედ დადგომას, რომელიც შესაძლებელს ჰყოფს უფრო მალე და ადვილად საცხოვრებლის შეძენას... აქედგან დაწყობილი ქურდობა ისე ღრმად უჯდება ძვალსა და რბილში, რომ ხელს ამ საქმეზედ იშვიათად-ღა იღებს. ბოლოს ბევრი მათგანი სამუდამო სამკვიდრო ბინასაც იძენს, ქონებრივ წყლულსაც იჩენს, მაგრამ ამ დროს შეთვისებული ზნეობრივი წყლული ისევ წყლულადა რჩება, ხშირად შვილსა და შვილის-შვილზედაც გადადის ..

დ. ხ.

(დასასრული იქნება)

*) ს ყაზბეგში დღიური მიწა 400—600 მანეთამდე ფასობს.

**) ოსმა ათამდე წირვა მაინც უნდა გადაუხადოს ხოლმე თავის მიცვალებულსა, რომლის სულის მოსახსენებლად ხშირად ნაქურდალ საქონელსაც-კი ჰკლავს, ცოლის შერთვის დროს ურვათში მისაცემ საქონელსაც ხშირად ქურდობითვე შოულობს.

ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები უნდა კარგად შეკეთდესო. ბ. ანტონოვის ანგარიშით დასჭირდება ამ საქმეს თითქმის ორას სამოც და-თვრამეტი თუმანი. ამბობენ, უკვე თხოვნა მიურთმევიათ სადაც ჯერ არს, რომ ეს ფული გადადებულ იქმნას ამ ხიდის გასამაგრებლად.

## წერილი ბარის ოსეთიდგან.

წარსულ ენკენისთვის ხუთს მოსულმა თოვლმა და ძრიელმა სიცივეებმა შესამჩნევად დააზიანა სიმინდები ბარის ოსებში; თუ რომ ერთი ორი დღე ზედი-ზედ გაგრძელებულიყო ასეთი სიცივეები, სამი წილი მაინც სიმინდის მოსავლისა ხელიდგან გამოეცლებოდა ხალხს, მაგრამ ზეცამ გვიბრალა. ბუნებამ ისევ მალე გაუღიმა ქვეყანასა და ენკენისთვის შვიდიდგან გასულამდე მშვენიერი ამინდები დაიჭირა. ღვინობისთვესაც არა უშავდა-რა: სიმინდები კარგად გამოიშუშა; მხოლოდ შიგა-დაშინ, რომელიც ძლიერ ნაგვიანევი იყო, ისინი გაფუჭდა, საზოგადოდ კი წელს ბარის ოსებში სიმინდი უხვად მოვიდა. სიცივეებისა გამო ჯერ კიდევ ბევრი აქვთ მოსამტვრევი სიმინდი.—ამ ჟამად აქეთ ფასობს: მერკა სიმინდი—40—45 კაპ., ხორბალი—1 მან.—1 და 20 კაპ., კართოფილი—15—20 კ., კომბოსტო ასი—3 მან.—4 მან., ქერი—50—55 კაპ.

25-ს ღვინობისთვეს ბარის ოსებში შესამჩნევად მოვიდა თოვლი. მართალია თოვლი აიღო, გაჰქრა, მაგრამ სიცივე-ყინვები-კი ძლიერ ადრე დაგვიდგა და შეშის ფასმა ძლიერ აიწია. ყინვებს თან მოჰყვა რაღაც ინფლუენციასებური ავადმყოფობა, რომელიც ძლიერ გახშირებულია აქეთ. ზოგ-ზოგ სოფლებში-კი ამ ჟამად წითელა, ყბაყურა და ყივანახველაც არის გავრცელებული, რომელიც მესამჩნევ ზარალს აძლევს ბავშვებს, მეტადრე იმ სოფელში, სადაც ეს ორი სენი ერთად გაჩნდა.

— სოფ. არდონი (კავკავის მაზრა). ოც-და-რვა ოქტომბერს, არდონის ალექსანდრეს სამისიონერო სემინარიის ეკკლესიაში ამავე სემინარიის რექტორის არხიმანდრიტის მამა დიმიტრის მიერ ბერად აღკვეცილ იქმნა ერთი ჩვენი თანამოძმე ქართველი გორელი ნიკოლოოზ მარგიევი; მარგიევი ამ ბოლოს დროს მასწავლებლად იყო ყიზლარში; უწმ. სინოდმა მარგიევს ნება მისცა ამავე სემინარიაში მესამე კლასში შესვლისა და ბერობის მიღებისა.

— ქურთათის ხეობა (კავკავის მაზრა). ღვინობისთვის შუა რიცხვებში ამ ხეობის შემოსავალში ქურდებმა მოჰკლეს სოფელ ლაცის მცხოვრები თებიევი; საქმე აი როგორ იყო: თებიევს სოფ. უადგართიდგან სხვა ამხანაგებთან ერთად ურმით სიმინდი მოჰქონდათ. რადგანაც დაუღამდათ, თებიევი და მისი ამხანაგები ქურთათის ხეობის სახელმწიფო ტყის ყარაულებთან დაბინავდნენ. სწორედ ამ დამეს, შუაღამისას, თავს დაესხნენ ქიშტები და ხარების წართმევა მოინდომეს. თებიევი გაუძალიანდა ქურდებსა და თოფით შეუტია. ქურდებმა რომ ნახეს, თოფი იხმარაო, მაშინვე თითონაც თოფები დააყარეს თებიევს. თებიევის ამხანაგები ყველანი გაექცნენ და მარტოკა შეება ქურდებს თოფით. თოფის სროლამ დიდხანს არ გასტანა; თებიევმა ერთი ქურდი ქიშტი იქვე გადმოაგდო და მეორეც მძიმედ დასჭრა, მაგრამ საბრალო თებიევიც მოჰკლეს. ქიშტებმა ერთი დაჭრილი ამხანაგი გაიტაცეს, მეორე-კი იქვე დარჩათ. მეორე დღეს სოფელ უადგარონიდგან და გიზელიდგან მდევარი გამოვიდა, ქიშტების კვალი აიღეს და ტოის სოფელში მიიტანეს. ქურთათის ხეობაში ამ ჟამად წითელაა გავრცელებული და დიდ ზარალს აძლევს ბავშობას.

— სოფ. ნებითი-ქრისტიანი, (კავკავის მაზრა). ორს გიორგობისთვეს საზარელი და გულსაკლავი სურათი ვნახეთ ამ სოფლის კანცელარიაში: სოფ. სტირდიგორის (მთა) მცხოვრები თაფკა ზოლოევი, შუახნის კაცი, მეცხვარეთ სდგომოდა ნებითი-ქრისტიანის სოფლელს დაკა ბიცაევს. ძველთაგან ანდაზად იციან ოსებში: „საწყალი კაცი რომ გამდიდრდება, ან კაცი უნდა მოჰკლას, ან ციხე უნდა ააშენოსო“. სწორეთ ასე მოიქცა ბიცაევიც. ბიცაევი საწყლად ყოფილა, მაგრამ ახლა ძლიერ შეძლებული კაცია მთელს სოფელში. ორს ამ თვეს არეით შეზარხოშებული ბიცაევი მისულა თავისი ცხვრის ფარეხში და დაუყვირნია მეცხვარე ზოლოევისთვის: „ჩქარა მწვადი შემიწვიო“. საბრალო მეცხვარეს უპასუხნია: არა მაქვს საშწვადე და რისა შეგიწვაო. როგორ თუ არა გაქვს, მაშ რის მეცხვარე ხარო; ბიცაევს უძვრია ხანჯალი, მისდგომია და ცხვრის ღუმასავით უთლია საბრალო ზოლოევი. ეს საბრალო დაჩეხილი ურმით მოიტანეს სოფლის კანცელარიაში. სწორედ ქვის გული რომ ჰქონოდა კაცს, ისაც-კი ატირდებოდა მისი საცოდაობით: თეძო თავები გაჩეხილი ჰქონდა, მარცხენა მკლავი გადასხვეპილი; ზურგში რამდენიმე ჭრილობა, ჭრილობავე დაჯებს შუა. ბოლოს, რომ გული ეჯერებინა გამხეცებულს ბიცაევს, ყელში წაეტკებინა ხანჯალი; ასე რომ სამი ჭრილობა წატკებული აქვს და შვიდიც დაკრული. სოფლის ფერშალმა, რითაც შეეძლო, ჭრილობანი შეუხვია საბრალო ზოლოევს, რომელიც ნათესავებმა წაიღეს. ბიცაევიკი ჯერ-ჯერობით არხეინად დასეირნობს.

ქართველი ოსებში

# უცხოეთი

**ჩინეთი.** აღმოსავლეთ აზიის საუკეთესოდ მცოდნემ ლონდონში მყოფმა იაპონიის ელჩმა ბარონმა გაიაშმა ამ წინაზედ შემდეგი საყურადღებო წერილი დაჰბეჭდა „Daily Mail“-ში:

„იაპონიაო,—სწერს ბარონი გაიაში,—იმ აზრის მომხრეა, რომ ჩინეთი ჩინელებისათვის დარჩეს ხელშეუხებლად! იაპონიას არა ჰსურს, რომ ჩინეთი ევროპიელებმა გაიყონ. იაპონიას იმედი აქვს, რომ კვან-სუ ტახტს ისევ დაიბრუნებს და ჩინეთში საჭირო ცვლილებას შეიტანს, რომ სახელმწიფოთა ოჯახობაში იგიც სრულ-უფლებიან წევრად ირიცხებოდეს. იაპონიას მარტო იმიტომ არა ჰსურს ეს, რომ ჩინეთს თანაუგრძნობდეს, არამედ მისთვისაც სასარგებლოა. იაპონიას ჰსურს, რომ ჩინეთში Status quo ante აღდგენილ იქმნეს, რაიცა მომავალს მისს განვითარებასა და განკარგებას საფუძვლად დაედება. გარდა ამისა, იაპონიას გარდაწყვეტილი აქვს, რაც-კი შეეძლება, ჩინეთს მხარი დაუჭიროს... ერთხელ კიდევაც მოგვმართა ჩინეთმა, რომ შეწევნა აღმოგვეჩინა. ეს იყო ჩინეთ-იაპონიის ომის წინად. სამხრეთ ჩინეთის რამდენსამე მეფის მოადგილეს სურვილი ჰქონდა ქვეყნის მმართვა-გამგეობაში განკარგება შეეტანათ და ამისათვის იაპონიას სთხოვეს განვითარებულნი მოხელენი გაეგზავნათ. იაპონიამ თხოვნა დაუყოვნებლივ შეუსრულა. ახლაც ბევრში ეხმარება იაპონია, თუმცა, რასაკვირველია, მომავალს ჩინეთსა და არა დღევანდელს. იაპონიამ თავისს უმაღლესს სასწავლებლებში 200 ახალგაზრდა ჩინელი მიიღო, რომელნიც ამ ჟამად იაპონიის საადმინისტრაციო კანონებსა და საშუალებათ ერთგულად სწავლობენ. ჩინეთმა წინადაცა სცადა იგივე საშუალება და მოსწავლე ახალგაზრდობა ამერიკაში გაგზავნა ეგრედ წოდებულს ჩინურს სკოლაში შესასვლელად, რომ აქ დასავლეთის განათლება და მეცნიერება შეეძინათ.

რაც შეეხება იაპონიის დამოკიდებულებას ჩინეთში ცვლილებათა შეტანის საქმეში, მისი აზრი ის არის, რომ ცვლილება ნელ-ნელა იქმნას შეტანილი. ცვლილება მეტს სარგებლობას მაშინ მოიტანს, როცა იგი თან-და-თანობით იქმნება გატარებული: დაჩქარებს „რეფორმატორებს“ მხოლოდ საქმეს წაახგებინებს და სარგებლობის მაგივრად ზარალს მოუტანს. ამ გვარად აჩქარებულმა რეფორმატორებმა ქვეყანას შეღავათი ვერ მისცეს და პირ იქით თავიც ზედ დააკლეს. უპირველეს ყოვლისა ჩინეთის ცენტრალური მთავრობა უნდა იქმნას გამოცვლილი, რომელიც ჩინელთა ცხოვრების უმთავრესს ძარღვს შეადგენს. დღევანდელი სისტემა ქვეყნის მმართვა-გამგეობისა უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზია ცის ქვეშეთ იმპერიის განვითარებისა. ამ სისტემას მრავალი ნაკლი აქვს, არც საკვირველია, რადგანაც იგი სწორედ მაშინ აღმოცენდა ჩინეთის ნიადაგზედ, როდესაც ევროპა ბარბაროსთა ქვეყანას წარმოადგენდა. ამ სისტემას შემქმნელთ ეჭვი არ არის, კეთილი განზრახვა ჰქონებიათ; როდესაც მანჯურები ჩინეთში მოვიდნენ, ჩინეთის წესები არაფრად მიეწონათ, მაგრამ მალე მიჰხვდნენ, რომ მხოლოდ მათის საშუალებით შეიძლებოდა ფეხი მოემაგრებინათ, დამკვიდრებულიყვნენ; ამისათვის ყოველივე თავისი ძალ-ღონე ძველი სისტემის განმტკიცებას მოანდომეს. სამოქალაქო მმართვა-გამგეობამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მოხელენი უსულო და უგულო მანქანებათ გარდაიქმნენ, რომელნიც ვერცხლის მოყვარე უფროსებს უოველისფერში ემორჩილებიან. მოხელენი სამსახურისათვის ღირსეულად მომზადებულნი არ არიან, რომელისამე ხარისხისა და თანამდებობის მისადებად დანიშნული სახელმწიფო გამოცდა სასაცილობამდე უაზრო და ადვილი არის.

ჩინეთის საკითხი სწორედ რომ ძნელად გამოსახსნელი კვანძიაო,-განაგრძობს გაიაში,-დიდი და დიდი ძალ-ღონე უნდა შეალიონ ევროპის სახელმწიფოებმა, რომ გარდასწყვიტონ როგორმე იგი, მით უფრო, რომ ჩინეთის იმპერიის შინაურს ცხოვრებას სრულებით ვერ იცნობენ. ჩინეთის მახლობელმა მეზობელმა იაპონიამ-კი ჩინეთის მმართველობის სისტემა საკმაოდ დაწვრილებით გაიცნო და შეისწავლა და მუდამ მზად არის შეძლების დაგვარად დახმარება აღმოუჩინეს.

მაგრამ მარტო ეს მეზობლობა და სიახლოვე როდი ავალებს იაპონიას ჩინეთის საქმის გამორკვევა-გარდაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს. იაპონია მრავალ-გზის ენათესავება ჩინეთს. ჯერ ერთი იგია სულიერი შვილი ჩინეთისა, რასაკვირველია, ძველი იაპონია და არა დღევანდელი, იაპონია, რომელიც დღევანდელ იმპერატორ მუტსუ-ხიტომდე იყო ცნობილი, რომელმაც გამეფებასთან ერთად იაპონიას კონსტიტუცია მიანიჭა, დასავლეთის განათლებისადმი მისწრაფება გაუღვიძა, გზა გაუხსნა.

ძველმა იაპონიამ ჩინეთიდგან ხელოვნება, ფილოსოფია, ეთიკა გადმოიღო. კონფუციის მოძღვრებას იაპონიაში, განსაკუთრებით-კი უმაღლეს წრეებში, მუდამ მეტი გავლენა ჰქონდა, ვიდრე ბუდდას მოძღვრებას. გარდა ამისა, იაპონიის ახალგაზდობის განვითარებაში ჩინელს კლასსიკებს იგივ საპატიო ადგილი ეჭირათ, როგორც დღეს ევროპაში ბერძენთა და რომაელთა კლასსიკებს (ძველს მწერლებს) უჭირავთ. მაგრამ, თუ ვისმე ჩინეთის გაცნობა უნდა, მან ჯერ ჩინეთის კლასსიკები უნდა გაიცნოს, შეისწავლოს.

გარდა ამისა, მრავალი ევროპაში განსწავლული ოფიცერი და ინჟინერი მუშაობს ცის ქვეშეთის იმპერიაში და ამათ ჩინელთა ზნე ჩვეულებანი და რწმენანი ხუთი თითივით შესწავლილი აქვთ. ამათ დიდი სტატისტიკო მასალა შეჰკრიბეს ჩინეთის შესახებ და, რადგანაც მთელი ეს მასალა იაპონელ სწავლულების მიერ არის შემუშავებული, ამისათვის იაპონიას ჩინელებზედ უკეთესად აქვს შესწავლილი ჩინეთიო“. ამის გამო,—სთქვა გაიაშმა,—ნამდვილად შემიძლიან ვსთქვა, რომ იაპონია მოითხოვს: 1) ჩინეთი დამოუკიდებლად და ხელ-შეუხებლად დარჩეს და 2) რომ თან-და-თანობით და ძირეულად იქმნეს დღეს არსებული წესი მმართვა-გამგეობისა შეცვლილი.

ერთია მხოლოდ საჭირო, რომ არ აჩქარდნენ და ცვლილება ნელ-ნელა იქმნეს შეტანილი; მხოლოდ ამ ცვლილებას შეუძლიან ჩინეთი დაამშვიდოს და თანამედროვე ევროპის კულტურას უზრუნველ-ჰყოსო“.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ორ მარსელელ ზღვაოსანს გამოუგონია წერილების გასაგზავნად განსაკუთრებული ელექტრო-ავტომატიური მანქანა. ამ მანქანის წყალობით შეიძლება, მაგალითად, წერილი კონსტანტინეპოლიდგან ლონდონს 14 საათში მივიდეს. თვით მანქანა, რაშიაც წერილები აწყვია, ცილინდრს წარმოადგენს, ექვსის არშინის სიგრძეს. ეს ცილინდრი კაპელით მოგზაურობს. ცილინდრი შეიძლება ავტომატიურად შეჩერებულ ან მოძრაობაში მოყვანილ იქმნას.

* * *

მოახლეებისათვის კვინსლენდი (ავსტრალიაშია) ნამდვილ აღთქმის ქვეყანას წარმოადგენს. არსად სხვაგან მოახლეს იმდენი ჯამაგირი არა აქვს და არსად ისე კარგად არ ექცევიან, როგორც კვინსლენდში. მოახლეს იქ ისე უყურებენ, როგორც ოჯახის ნამდვილ წევრს. დიასახლისი არასოდეს არ დაუშლის მოახლეს ბალსა, კონცერტსა და ან თეატრში წასვლას. ვერც-კი გაარჩევთ მოახლესა და დიასახლისს: ეკკლესიაში ერთად მიდიან ეტლით, სახლში სტუმრები ერთნაირის პატივის-ცემით ექცევიან დიასახლისსა და მოახლეს, ხშირად ოჯახის წევრნი საოჯახო თათბირზედ იწვევენ მოახლეს და სხვ. სამაგიეროდ მოახლეც დიდ ერთგულობას და მუყაითობას იჩენს; ზარმაცი მოახლე კვინსლენდში ადგილს ვერ იშოვნის.

* * *

თითქმის ყველა ის, რაც ევროპიელებმა ამ ორ-სამ საუკუნეში აღმოაჩინეს და რაც ევროპის ცივილიზაციის სიამაყეს შეადგენს, ჩინელებს რამდენისამე საუკუნით ადრე ჰქონიათ აღმოჩენილი. თვით ამერიკა ჩინელებმა კოლუმბზედ 1000 წლით ადრე აღმოაჩინეს. ამერიკა, როგორც ჩინეთის ოფიციალური მატიანენი გადმოგვცემენ, 499 წელს აღმოაჩინა ბუდისტთა მისიონერმა-ჩინელმა გვუი-შანმა. ქაღალდებში, რომლებიც ამ მგზავრობას შეეხება, აწერილია ალეუტის კუნძულები, ალიასკა, აგრეთვე მექსიკა და საშუალო ამერიკა. რასაკვირველია, ამ ადგილებს სხვა სახელები ჰქვიან. გვუი-შანმა სხვა მისიონერთან ერთად ალიასკასთან ალეუტის კუნძულებს მიაღწია. იქიდგან დღევანდელ ბრიტანიის კოლუმბიის ნაპირით დაეშო სამხრეთისაკენ და მექსიკაში ჩავიდა. მექსიკა, რომელსაც გვუი-შანი ფუსანგომს ეძახის, დაწვრილებით აქვს აწერილი. ეს ქვეყანა, მისიონერის სიტყვით, „ორჯელ ათი ათას ლის“ მანძილზედ მდებარეობს (9000—10,000 ვერსამდე იქმნება). გვუი-შანი სწორედ აღგვიწერს ადგილობრივ მცხოვრებთა სადგომებს, ერთგვარ ხეს, აგავუდ წოდებულს, ადგილობრივს სასმელს, და ამბობს, ეს ქვეყანა თუთის ხის ქვეყანააო. აზრად მისიონერებს ამ მგზავრობის დროს მხოლოდ ბუდდას სარწმუნოების გავრცელება ჰქონიათ. ახლად აღმოჩენილმა ქვეყანამ ჩინელნი ძალიან დააინტერესა და მთავრობამ ბრძანება გასცა, დაწვრილებით აეწერათ იგი. მაგრამ ამისდა მიუხედავად მატიანენი შემდეგს დაწვრილებით აღწერას არ გადმოგვცემენ. შეიძლება ამ მგზავრობის აღწერა მექსიკანელთა საღმრთო წიგნებში ყოფილიყო, მაგრამ ეს წიგნები ესპანელმა ფანატიკოსებმა სრულიად გაანადგურეს და გადასწვეს. დარჩა მხოლოდ ერთი ძველი ხელთნაწერი, რომელიც მადრიდის მუზეუმში ინახება, მაგრამ ამ ხელთნაწერის წაკითხვა დღემდე ვერ მოახერხეს. ზოგიერთი მეცნიერი ამბობს, რომ ჩინელების გავლენა მექსიკას ძალიან ეტყობა. ამიტომ ჩინელებს მექსიკაში დიდი მისვლა-მოსვლა უნდა ჰქონოდათო. შეიძლება გვუი-შანის შემდეგ მექსიკაში მრავალი ჩინელიც გადასახლდა. მრავალ ძველ ნაშთს მექსიკაში სპილოს თავის ქანდაკება აქვს, ეს-კი, არქეოლოგების აზრით, ბუდისტთა გავლენით აიხსნება.

* * *

უხნეს კაცად დღეს მთელ დედა-მიწის ზურგზედ ვინმე ნოა-რობი ითვლება. ეს კაცი ჩრდილოეთ ამერიკაში დაიბადა, მამა თეთრი კანიანი ჰყავდა, დედა კი ინდიელი ქალი იყო. ოცდა ათი წელიწადია უკვე, რაც ეს კაცი ნიუ-ჯერსკის ღარიბთა თავშესაფარში სცხოვრობს. ნოა რობს წარსულ აპრილს 128 წელიწადი შეუსრულდა. რობი შედარებით ჯერ კიდევ კარგად არის ჯანზედ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ბოლგარელთა ახალშენის წევრებმა ფერისცვალების ტაძარში ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ პარაკლისი გარდაიხადეს.

ხაბაროვსკიდგან და ივანოვ-ვოზნესენსკიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ პარაკლისი გარდაუხდიათ.

**ბერლინი.** პოლკოვნიკი იორკი ფონ-ვარტენბერგი 14 ნოემბერს გარდაიცვალა სალამოთი გუაილეში. სიკვდილის მიზეზი ღუმელის მძიმე სუნით დაბნედვაა.

**შანჰაი.** როგორც იუწყებიან, სეიმურის მიერ მეფის მოადგილის ჩჟან-ჩჟუინის ნახვა სასურველად დაგვირგვინებულა. ეხლა მათ შორის მეგობრული დამოკიდებულებაა. შანსის გუბერნატორმა ხანკოუს მეფის მოადგილეს რვა სწრაფად სასროლი ზარბაზანი მოსთხოვა დაუყოვნებლივ; მეფის მოადგილემ ბრძანება მისცა ზარბაზნები შანსში გაგზავნონ. ხანკოუში მყოფმა ერთმა უცხოელმა კონსულმა ცნობა მიიღო, რომ ტუნფუსიანის 10,000 ჯარის-კაცი კუანსუს პროვინციაში მივიდა, რომ იმპერატორის წინაალმდეგ ასაჯანყებლად ტუანს შეუერთდნენო.

**ლონდონი.** როგორც ხმა ისმის, სამხრეთ აფრიკის მთავარ-სარდლის

თანამდებობის შესრულებას კიტჩინერი დღეიდგან თურმე შეუდგება.

**პეკინი.** საფრანგეთის სამხედრო რაზმი ამ ჟამად შანსის პროვინციის საზღვარზეა, ცინდიკან დასავლეთით. რაზმი ტაიენფუსკენ აპირებს წასვლას.

**შანხაი.** შაბათს ხანჯოუში თოფის წამლის აფეთქებისაგან მოკვდა 40 კაცი.

**ტიან-ძინი.** დროებითმა მთავრობამ გამოსცა გადაწყვეტილება, რომლითაც აღკრძალულია იარაღის შენახვა ქალაქსა და იმის მახლობლად. ვინც ამას არ აასრულებს, სიკვდილით დაისჯება. იარაღის გადასაცემად ხუთის დღის ვადა იქმნა დანიშნული. ეს ზომა უეჭველად საჭიროა, რადგანაც მრავლად ჰნახეს ქალაქში დამალული იარაღი და „დიდის მუშტის“ მომხრენი.

**პეკინი.** იაპონია თხოულობს შეცვლილ იქმნას ელჩების მიერ შემუშავებული ნოტა. ნოტას უნდა დაემატოს მოთხოვნილება, რომ ჩინეთმა აზღოს ძველი იაპონიის საელჩოს კანცელარიის უფროსს სუგიიამენის, რომელიც ჩინელებმა მოჰკლეს.

**პარიჟი.** სენატმა ერთხმად მიიღო წინადადება იმის შესახებ, რომ კრიუგერს თანაგრძნობა გამოეცხადოსო.

**პეკინი.** გერმანიის საელჩოს წარდგენილობით თანამდებობიდგან გადაყენებულ იქმნა ცანლუს მაგისტრატი ქრისტიანეთა წინააღმდეგ სამტრო აგიტაციისათვის.

**ტიან-ძინი.** პროვინციის ხაზინადარსა ტან-ბენგუანს პაოტინფუში სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ტან-ბეგუანს ტიან ძინში მიიყვანენ და იქ მოჰკვეთენ თავებს.

18 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ვარშავას გენერალ-გუბერნატორი თავადი იმერეთინსკი 17 ნოემბერს გარდაიცვალა.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება: „დევეტსდორპის მეციხოვანე ჯარი, რიცხვით 400 კაცი, ორის ზარბაზნით დაჰმორჩილდა ბურებს და დამორჩილებამდე 15 მოუკვდა და 42 დაეჭრა. ბურთა რიცხვი 2,500 იყო. ინგლისის რაზმი, რომელშიაც 1,480 კაცი იყო უნდა მოჰშველებოდა დევეტსდორპს, მაგრამ დროზედ ვერ მიუსწრო. როდესაც გენერალ ნოკსის რაზმი შეუერთდა ამ რაზმს, 13 ნოემბერს იგი დევეტსდორპში შევიდა. ქალაქი მთლად დაცალიერებული იყო; შიგ იყვნენ მხოლოდ 75 დაჭრილნი და ავადმყოფნი. ნოკსი დაედევნა ბურებს, რომელნი შტეინისა და დევეტის უფროსობით იბრძოდნენ, და ვაალ-ბანკთან დაამარცხა ისინი. ბურებმა უკან დაიწიეს სამხრეთ-დასავლეთისაკენ“.

**ფრეიბურგი.** ფრეიბურგის რაზმის მიერ განთავისუფლებულ იქმნა შვეიცერ-რენეკეს მეციხვანე ჯარი. ბურებმა, რომელნიც ამ ადგილს ერტყნენ, მცირეოდენი წინააღმდეგობა გაუწიეს რაზმს, მაგრამ უკუქცეულ იქმნეს.

**ლონდონი.** ოფიციალურად. რობერტსის ადგილზედ დაინიშნა კიტჩენერი, რომელსაც გენერალ ლეიტენანტობა და ადგილობრივ მთავარ-მართებლის ღირსება ებოძა.

**ბერლინი.** აქამდე არავითარი ცნობა არ არის, რომ აქ კრიუგერის დასახვედრადა და მისაგებებლად კომიტეტი შემდგარიყოს.

**პარიზი.** ხვალ გამოცხადდება ბრძანება, რომლის ძალითაც სავალდებულოდ შეიქმნება გააგის ხელშეკრულობანითა და კონვენციებით ხელმძღვანელობა დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დროს.

**ბერლინი.** ვალდერზეე იუწყება, რომ კალგანიდგან დაბრუნებული რაზმი ხვალ ჩიტაოდგან უფრო შორს წავაო.

**პეკინი.** პიშონსა აქვს მინდობილი მოაწეროს და ჩინელებს წარუდგინოს ელჩების მიერ შეწყნარებული წინადადებანი, თუ ყველა ელჩნი ერთმანეთ შორის თანახმანი იქმნებიან. ეს წინადადებანი უეჭველია ჯერ რაოდენადმე შეცვლილ იქმნება.

**ლივადია.** 18 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე და წარსული ღამე სრულიად კარგად გაატარა. თვითმგრძნობელობა ძალიან კარგი აქვს. საღამოს 9 საათზედ სიცხე ჰქონდა 36,1, მაჯის ცემა—60; დღე დილით: სიცხე 35,6, მაჯის ცემა—60.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული შერწყელ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

23 ნოემბერი.

სერგო რიჟამაძისა და ეზეკია ბუცრიკიძისა, რომელთაც გაძარცვა ედება ბრალად.

დავით ძოწენიძისა, რომელსაც სიყალბის ჩადენა ედება ბრალად.

თავ. ილია ხიდირბეგიშვილისა, რომელსაც შეურაცხების მიყენება ედება ბრალად.

28 ნოემბერი.

იოსებ ხიშიბაშვილისა, ქურდობის ჩადენა ბრალდება.

ივანე ბიწაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების 1 ნაწილის მე-1465 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

# განცხადებანი

3 **ნოემბერს** სადგურ კასპიდგან მომავალ საღამოს მატარებლით მოვდიოდი ქ. ტფილისში, პოლიციის მეცხრე ნაწილში თუმანოვის ქუჩაზე, მეჭურჭლეებში, საკუთარ სახლში № 34 და გზაზედ **დავკარგე**

**ნასყიდობის ქაღალდი,**

უფროსის ნატარიუსის მიერ დამტკიცებული, ამავე მამულისა ჩემის დის **ნატალია ბარძევიშვილის სახელობაზე შემდგარი.** მპოვნელს ვსთხოვ საჩუქარი ფულათ მიიღოს და მომიტანოს ან ფოსტით გამომიგზავნოს, ან და წარადგინოს პოლიციის რომელსამე ნაწილში და რკინის გზის სადგურებში, რადგანაც დაკარგვა ტფილისის პოლიცმეისტრის ნება-რთვით გაზეთ „კავკასში“ განცხადებულია.

**ალექსანდრე ხელაია**

(1—235—1)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—11)

**„წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის“ გამგეობა ამით აცხადებს**

**პრემიებს**

სალიტერატურო ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად. პირობები შემდეგია: 1) საპრემიოთ წარმოდგენილ ორიგინალურ თხზულებაზედ დანიშნულია ღირსების კვალობაზედ: 150 **მან.**, 100 **მან. და** 50 **მან.**; 2) პრემია შეიძლება მიეცეს ევროპის რომელიმე კლასსიკის თხზულების თარგმანშიაც, ხოლო თუ იგი გადმოღებულია პირდაპირ უცხო ენიდამ. აქაც სამნაირი ჯილდოა: 70 **მან.**, 50 **მან.** და 20 **მან.** ორივე შემთხვევაში (§§ I, II) უფრო სასურველია არა ვრცელი თხზულება.

შენიშვნა. თარგმანები არა პირდაპირ უცხო ენიდგან ან რუსის მწერალთა ნაწარმოებთა შეიძლება მხოლოდ პრემიის მიუცემლად დაჰბეჭდოს ამხანაგობამ თავის ხარჯით.

3) ყოველგვარი სალიტ. ნაწარმოები უნდა გამოეგზავნოს ამხანაგობას (ადრესი: Г. Кутаисъ, Кутаиск. книго-издат. Товарищ.) რაიმე დევიზის ზედ-წარწერით და დაბეჭდილი კონვერტით, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა წარმოგზავნილი ნაწარმოები ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად, 4) ვადა თხზულების გამოგზავნისა არის არა უგვიანეს 1 მარტისა 1902 წ.; 5) დაჯილდოვებულ თხზულების ავტორს პრემიის გარდა შეიძლება მიეცეს კიდევ გონორარი; 6) შედეგები კონკურსისა და აგრეთვე რეცენზია დაჯილდოვებულ თხზულებაზედ გამოცხადდება გაზეთებში; 7) ყოველი საპრემიოთ გამოგზავნილი ნაწარმოები კარგის ქართულის სალიტერატურო ენით უნდა იქმნეს დაწერილი; 8) პრემიები ეძლევა ავტორებს იმ ფულიდგან, რომელიც შემოუვა ამხანაგობას დაჯილდოვებულ წიგნის გასყიდვისაგან.

(10—6—5)

თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის დიღომის სარდაფებში ინახება გასასყიდად

**საუკეთესო ღირსების**

# ღვინოები

მსურველთ უნდა მიჰმართონ სოფ. დიღომში მამულის გამგეს ი. ა. გუნცაძეს. (4—231—2)

**ახალი მოდის ტანისამოსის ანდაზები**

1900/1 წლის ნიმუშებისა, სქელს ქაღალდზედ, გამოსაჭრელ ტანისამოსის ზომისა.

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიფი ახალის სახელოებით . . | 40 კ. | კაპოტ-პრინსეზი . . . . . | 50 კ. |
| ინგლისური პერანგი . . . . | 35 „ | ტანისამოსი-პრინსეზი . . . | 50 „ |
| კოფტა მატინე ნაოჭებით . . . | 40 „ | სხვა-და-სხვა როტონდები . . . | 60 „ |
| სასეირნო იუბკა . . . . . . | 35 „ | ჟაკეტ-საკი . . . . . . . | 40 „ |
| საბალო, ან საპატარძლო იუბკა . | 50 „ | მოკლე პალტო-საკი. . . . . | 50 „ |
| სადარბაზო იუბკა . . . . . | 35 „ | პალტო-საკი . . . . . . . | 60 „ |
| იუბკა ამაზონით . . . . . | 75 „ | ქურქი-საკი . . . . . . . | 50 „ |

ვინც თავის ზომას გაგზავნის ტანისამოსის გამოსაჭრელად, თითო გამოჭრა 20 კ. მეტი ღირს.

აგრეთვე გვაქვს გამოჭრილი ნიმუშები: ბავშვებისა (ქალისა და ვაჟის) მთელი ტანისამოსი 30 კაპეიკიდგან, მამაკაცთა (სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო წოდების კაცთათვის)—კატალოგით. ერთის ტანისამოსის ანდაზის გაგზავნა დაზღვეულის ბანდეროლით ღირს 11 კ. თუ რამდენიმეა დაკვეთილი, მაშინ ყოველ მეტის გასაგზავნად დაემატება 4 კ. ფულის გამოგზავნა ფოსტის მარკებით შეიძლება. ფასდადებით ანდაზებს არ გაიგზავნება. ვინც ერთად 5 და მეტს ანდაზას გამოიწერს, მანეთზედ 25 კ. დათმობა.

ყველა მოდის ჟურნალთა მთავარი საწყობი

**ი. ა. პოზნინისა,** მოსკოვი, ალექსანდრეს პასაჟი.

ჟურნალთა და ანდაზათა კატალოგი უფასოდ იგზავნება.

# ნამდვილი საგოლოთ მაჭრობაა

საკერავ მაშინებისა მიასნიკოვის მაღაზიაში, ნიკოლაევის ხიდზედ, № 7 და 8.

**500-ზედ მეტი სხვა-და-სხვა მაშინაა**

ამერიკისა და გერმანიის საუკეთესო ქარხნებისა. რადგანაც გვსურს მოკლე ხანში გავყიდოთ ყველა ის საქონელი, რაც მაღაზიაშია, მეტად იაფი ფასი იქმნა დანიშნული. მაღაზიის მოწყობილება იყიდება. სადგომი ქირით იძლევა. (5—227—2)

# 1901 წლ.

## მიიღება ხელის მოწერა

# „მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

**ყოველ-თვიური ჟურნალი „მ ო ა მ ბ ე“** (წელიწადი მერვე)

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით . | 10 მ. | 1 წლით . . | 13 მ. |
| 6 თვით . | 6 „ | 6 თვით . . | 7 „ |
| 3 „ . | 3 „ | 3 „ . . | 5 „ |

**წლიური ფასის განაწილება:**

პირველად—5 მანეთი,
1-ლ აპრილამდე—3 მანეთი და
1 ლ სექტემბრამდე—2 მანეთი

**ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“** (წელიწადი მეექვსე)

**ფასი გაზეთისა გაგზავნით:**

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ-გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით . . | 6 მ. | 1 წლით . . | 9 მ. |
| 6 თვით . . | 4 “ | 6 თვით . . | 7 „ |
| 1 „ . . | 75 კ. | 1 თ . . | 90 კ. |

**წლიური ფასის განაწილება:**

პირველად—3 მანეთი,
პირველ აპრილამდე—3 მანეთი.—
თითო ნომერი—3 კაპ.

ვინც „**მოამბე**“-ს მთელის წლით გამოიწერს „**ცნობის ფურცელი**“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნის ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

**გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოვა 1900 წ. პირველ დეკემბრიდან გაფართოვებულის პროგრამით და გადიდებულის ფორმატით.**

განცხადებას ფასი: 1-ლ გვერდზედ სტრიქონი—10 კაპ., მე 4—5 კ., თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и “Цнобисъ-Пурцели“.

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზედ მარტირუზოვის სახლში, ტელეფონი № 372.

(3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го Ноября 1900 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე